ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 22

15 თებერვალი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-19 მუხლის „დ" და „ე" პუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 111-ე მუხლის „დ" პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილების და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-14 დადგენილების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით შესასყიდი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრისათვის" (ს/კ. 406153111) გადასაცემი საცხოვრებელი ბინის შესყიდვა განახორციელოს შემდეგი პირობებით:

ა) საცხოვრებელი ბინის მთლიანი ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი საცხოვრებელი ბინის საბაზრო ღირებულებას 10%-ზე მეტით;

ბ) საცხოვრებელი ბინის 1 კვ.მ.-ის ღირებულება, მათ შორის, ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებულ შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს 750 (შვიდას ორმოცდაათი) აშშ დოლარს.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინა უნდა იყოს საცხოვრებლად ვარგისი და არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ამ განკარგულებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინების მოვლა-პატრონობა უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**